



სტაციონარული საბაგრო მონყობილობების დამონტაჟებისთვის საკუთრების ჩამორთმევის ინიციატივა, სავარაუდოდ, „პანორმა თბილისის“ პროექტს უკავშირდება

საქართველოს მთავრობამ, მიმდინარე წლის აპრილის თვეში, პარლამენტში -
ქ. კახიძის საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის
შესახებ საქართველოს კანონის [პროექტი](#) წარადგინა.

წარმოდგენილი განცხადების მიზანს არ წარმოდგენს ახალი კანონის პროექტის სრული და
საფუძვლიანი შეფასება, თუმცა გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ერთ საკითხზე,
რომელიც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ **კანონპროექტში მისი ასახვა**
„პანორმა თბილისის“ პროექტს უნდა უკავშირდებოდეს.

შპს "საქართველოს კანონის დღეს მოქმედებაში" ჩამოთვლილია ყველა ის საფუძველი რა დროსაც, საკუთრების ჩამორთმევა (ექსპროპრიაცია) ხორციელდება. საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონის ახალ რედაქციაში, მცირედი ცვლილებით პრაქტიკულად უკლებლივ არის გადმოტანილი ყველა ის საფუძველი, რა დროსაც შესაძლებელია საკუთრების ჩამორთმევა. ამასთან, აღნიშნულ სიას ემატება ახალი პუნქტი, კერძოდ საკუთრების ჩამორთმევა შესაძლებელი ხდება თუ ეს სტაციონარული საბაგრო მოწყობილობების დამონტაჟებისთვის საჭირო სამუშაოებს უკავშირდება.

მიუხედავად იმის, რომ კანონპროექტს მოცულობითი განმარტებითი ბარათის ახლავს თან, **ბარათში** არ არის აღნიშნული, თუ რით არის განპირობებული სტაციონარული საბაგრო მოწყობილობების დამონტაჟების დროს საკუთრების ჩამორთმევის დაკანონება. **დაუსაბუთებლად, ყოველგვარი სათანადო არგუმენტაციის გარეშე, მეტად სპეციფიკური ინიციატივის შემუშავება (სტაციონარული საბაგრო მოწყობილობების დამონტაჟებისთვის საკუთრების ჩამორთმევა) აჩენს კითხვებს, ხომ არ ემსახურება აღნიშნული კერძო ინტერესებს/პროექტებს, და არა ობიექტურ საზოგადო საჭიროებას**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანაინვესტირების ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, პანორამა თბილისის ორი პროექტი - თავისუფლების მოედნის მიმდებარედ არსებული მშენებარე **ნაგებობა** და ე.წ. **სოლოლაკის მაღლობი** სწორედ საბაგრო გზით უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს. **შესაბამისად, საბაგრო მოწყობილობების დამონტაჟებისთვის საჭირო სამუშაოები თბილისის ისტორიულ ნაწილში უნდა განხორციელდეს, რასაც შესაძლოა თან ახლდეს საკუთრების ჩამორთმევის საჭიროება.**

გვსურს საზოგადოებას შევახსენოთ, რომ შპს "საქართველოს კანონის დღეს მოქმედებაში" პროექტის სამივე სამშენებლო ლოკაცია ქალაქის ისტორიულ ნაწილში ხორციელდება. დადასტურებული ინფორმაციით, სამი სამშენებლო ლოკაციიდან ორი, შპს "საქართველოს კანონის დღეს მოქმედებაში" მაღლობი და შპს "საქართველოს კანონის დღეს მოქმედებაში" ბაღები თბილისის ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაშია მოქცეული, რაც ამ ზონაში სამშენებლო სამუშაოებს კრძალავს. აღნიშნული სამშენებლო ნებართვები საიას თბილისის საქალაქო სასამართლოში აქვს გასაჩივრებული, რაზეც დღემდე მიმდინარეობს დავა.